



რომაელთა განცხრომა.

გაგონდება

ვალისკო!

წუხელის ვნახე სიზმარში
ოფლსა და ხვითქში სცურავდი,
ხელში გეჭირა ფრანგული,
გააფთრებული ბრუნავდი.
სიკვდილს წინ ეგებებოდი,
თავს და ქედს არა ღუნავდი,
მტერს დაეძებდი, ქვეყნის მტერს,
კერძოდ არაზე ზრუნავდი.

ჩასაფრებულის მტრის ტყვია
უჩინრად გეტანებოდა,
იცდენდა ჯაჭვის პერანგი,
მკერდამდის არა გწვდებოდა.
იდექი, როგორც სალი კლდე,
მტერი ჯავრითა კვდებოდა,
ახრჩობდა ბოლმა და სისხლი
რაკი ვერასა ხდებოდა.

კიდევ სცადა, —ნასროლმა
ძან შორს გადაიარა,
კაი ყმას, კაი ვაჟკაცსა
ცუდად არ დაგეზიარა.
შენგან ნასროლმა ტყვიამ კი
სწორედ პირდაპირ იარა,
მტერს მოხვდა მარცხნივ ძუძუში
და წასკდა სისხლის იარა.

და სთქვა: ახია ჩემზედა,
რაკი ლაჩრადა კვდებოდა,
მე კი ის ბაითალმანი
ძალიან მენანებოდა:
დე ყოფილიყო ამ სოფლად,
ეცოცხლა, ელოდილა,
რომ უფრო მეტი შეესვა
შურით აღვსილი ფიალა.

შიო მღვიმელი.

გაგონდება ვერცხლის ღამე,
როს შენ ღმერთი ეშხსა თოვდი
და მე შენი მოთაყვანე
ჩემს სიყვარულს ასე ქსოვდი?

ვნახე, ვნახე სათნოება
და ვინა ტრე შენი ცნობა,
თვალი თვალსა გაგაყოლე,
ტრემლად ვადნე ჩემი გრძნობა.

გაგონდება, რომ მითხარი:
„თუ შენ გიყვარს, —აი გული,
მომიძღვენი, ძრიელ მიყვარს
მთის ყვავილთა თაიგული“.

აგისრულე: მოგიძღვენი...
მაგრამ არა, არა, არა!
ვერ მიიღე: იმ ძვირფასმა
დაგლიჯა და გადაჰყარა.

გადაჰყარა, ამბატირა
და დასწყევლა ჩემი ცნობა,
მე კი ყვავილთ დაბნულთა
მოგაფრქვე ჩენი გრძნობა.

გაგონდება ის საღამო,
მოწყენის ხმით რო მითხარი:
„გამიგონე, მომისმინე
წუხელ ვნახე მე სიზმარი,

ვითომც მაღალ წვრილ კიბეზედ
ადიოდი, მშორდებოდი,
მშორდებოდი, შეგცქეროდი,
შეგცქეროდი და გტიროდი“.

იპ, რა ვუყო გულსა მტირალს,
სტირის, მოსთქვამს და ღონდება,
და ჩურჩულებს: „მაინც, ჩემო,
მაინც, ღმერთო „გა-გო-ნდება“?!

დ. კობალი.

ან თუ კიდევ გაგონდება
შენ რო მითხარი: „შენ გიყურებ,
რაც დაკარგე თუ მონახე—
რასაც შემთხვევ, აგისრულე“.

გაგონდება კიდევ ერთხელ
ცას ვარსკვლავი რო ჩამოწყდა
შემოგჩივლე: „ის ჩემია,
ზეცას მოსწყდა, მოსწყდა, მოკვდა“.

მიპასუხე-ხედავ, ხედავ,
ჩემი მნათიც ძირს ეშვიება
და ორივე სიყვარული
ერთმანეთსა აქ შეხვდება.

გაგონდება ყველა ის შენ,
და დღეს გიკვირს რო მიყვარხარ?
აპ, რა გიყო, ღმერთო ჩემო,
რომ აღქაჯათ გარდაჰქმნხარ?

შორს, შორს ჩემგან! არ მიყვარხარ,
არ მიყვარხარ: ერთხელ წმინდა
ჩეჯავრები, მძულხარ, მძაგხარ,
შენი ხილვაც კი არ მინდა!

გუშინ, ღმერთო, დღეს აღქაჯო,
მოდი ახლოს, ეი, სად ხარ?
და ჩემს გულსა აი მისთვის,
რო უყვარდი, წიხლი დაჰყარ!

დაჰყარ წიხლი, და დაგლიჯე
ეს ოხერი ჩემი გული,
ვით ძვირფასმა აი იმ დროს,
ის ძვირფასი თაიგული.

ღამის ჩვენება

შუალამისას აივანზე ვზივარ დალილი
და ფიქრებს მიმკობს შენზე ფიქრი სასიხარულო.
მე მაგონდება შენი სახე ღიმილმორთული,
შენი თვალები—ცისარტყელა შემოვლებული!

ნეტამც აქ იყო! ღამეც ვარდად გაიშლებოდა,
არ იქნებოდა ეს ქვეყანა ჩემთვის სამარე!

როგორც კუბოში პატარძალი—დალილია მთვარე,
ირმის ნახტომით იპენტება ლურჯი ცისკიდე.

მე კი ვჩურჩულებ:
ლელო, ლელო, ნეტამც აქ იყო!

ვერ ვამჩნევ ვარსკვლავს ცეცხლის რკალად გასრიალებულს,
ვერ ვამჩნევ თორემ ჩემს ბედობლას შევადარებდი.
რად მინდა ბედი, როცა გხედავ პირმოციხარეს—
შენი ღიმილი დამიბრუნებს გამქრალ გაზაფხულს!
ვერ მათრობს ვარდი, ვედარც ლურჯი იასამანი,
შენი ფიქრები დამათრობენ მშვენიერებით!..

ვარდისფერ ნაბადს ისხავს ზეცა გაფითრებული,
ვარდისფერ ფიქრით ტოკავს გული შეყვარებული,
ასე მგონია: გამოსჩნდები, ახლავე გნახავ!..

გხედავ ოქროს ეტლს, მშვენიერი შორით მოსცურავს
და ჰაერს არღვევს მღელვარება ცეცხლის ფრთებისა,
ნესმის შენი ხმა სიყვარულით ათრთოლებული,
შენმა მერდინმა შორს სივრცეში გაიფრიალა...
მოსჩანს ეგ სახე, მხიარული შუქის მფრქვეველი,
მოსჩანს ჩემი მზე, მოსჩანს ჩემი ბედნიერება!..

მოუახლოვდი ჩემს აივანს და დადგა ეტლი,
როგორც ციმციმით ჩამოსდინარ საფეხურებზე,
მთვარის ნათელი სამოსელად შემოგხვევია...

გულში დაგუბდა სიყვარულის ბედნიერება,
გული ჩამიკვდა ვით ყვავილში მთვრალი პკელა...
შენსკენ ვისწრაფი მოულოდნელ სიმღერით სავსე,
ავფლერდე შენთან, ვით სიმღერა დავიწყებული!
დამავიწყდება ლაპარაკი, მორცხვად თავს დავხრი
მხოლოდ თვალები მოგასმენენ უთქმელ სიყვარულს!..

სიცილს მაყრიდნენ ვარსკვლავები ხელზე გაშვებულს,
მთლად ცახცახებდნენ მოვრცხილი ალვის ხეები...—

ახ! ვყოფილიყავ მაშინ წუთი, ხომ გაგვრებოდი,
არ აპყვებოდა ჩემს სიმღერას ცრემლის ნისლები!

გ. ლეონიძე.

კველი ლექსები

ჩვენი მეფეების შინაური ცხოვრებისა ბევრი არა ვიცით რა
და, აი, შემთხვევით გაახლებთ ერთ ხელთნაწერიდან ამონაწერს
ლექსსა. ჩემ წინა მდებარე ხელთნაწერი ეკუთვნის ჩემს ოჯახს, რო-
მელიც გადმოწერილია 1810 წ. ს. პეტერბურგს. შიგ მრავალი სხვა
და სხვა ლექსებია თეიმურაზ მეფის, არჩილისა, ბოდბელისა და სხვა-
თა. ამასთანავე არის ისტორია ალექსანდრე მაკედონელისა, თავისი
ჟენაური მითებით. ქალის პირის ქვეყანაში გალაშქრებისა, ფრინ-
ვლის ფეხებიან სახელმწიფოში ომიანობისა და სხვა მრავალი. სხვებ-
საც გადმოვწერამ და გამოვიგზავნით, მით უმეტეს, რომ მგონი სა-
სარგებლო ტერმინებს იპოვია ახლანდელი ომიანობის მიმომხილველი.
დავთვები პატივისცემით ალექსანდრე დავითის ძე მაჩაბელი.

სიმცროს ბატონიშვილობაში, მეფე ერეკლემ მშველი გაზარდა,
და სასახლეში ჰყავდა, თვითა იქ არ ბრძანდებოდა. მეფემ თეიმურ-
რაზმა მშველი და მისი გამზრდელი თხა ამ ლექსებით გამოამჟღავნა.
ბატონიშვილის ანას მაგიერ მისწერა ეს ხუთი ლექსი:

ვითა ვსთქვენთ ძნელად სათქმელნი აწ თქვენთან ჩემის პირითა:
აღვსილნი მწუხარებითა, სისხლ რევით ცრემლით ვსტირითა.
ერთმანერთზედა დაგვერთვნეს, წუხილნი უცხოს კირითა.
აწ ვრიდობთ თქმასა ვით თხაზე, მოვსთქვამთ და მუდამ ვჩივითა.
მოგვიკვდა თქვენი „ბიჟინა“, ამიერ სოფლით გავადა
ვერც მოვიხმარეთ ჩვენ ხორცი, ბარკალი ვერცა გავადა
არც გამოგვადგა გულად და ტყავი არც ფარად გავადა
ფათერაკის გზით მოგვიკვდა, ცოტას ხანს გვიწვა ავადა.
ჩიოდა ამას ბიჟინა, როს ჰხდომა ჰქონდა სულისა,
სადა მყავს ჩემი პატრონი, ჩემი ამგები სულისა,

შემისოდ მომკლეს დიაცმა, არ მყავდა მტკენი გულისა,
აწ თქვენ შეგადრეთ უგრძნულად, სიკვდილი მის ბედკრულისა.
ჩვენ გვეწყალოდა, არ ვნახეთ, ვერ შემქამელი მაზისა,
საკლავად გამომეტებით; მოზღვედა თვალ ლამაზისა.
გოგიაურის ქალს უთხრა, მსწრაფლ გახურება გავისა,
უთხრა: დავლიჯე ასანი ბიჟინა ტურფა ნაზისა:
სულთ ბრძოლის დროსა ჩვენება, ნახა ადგილი მსიანი:
გვითხრა: ვნახეო ნათელში, თხა არის ოქროს რქიანი.
უცხოს სამყოფში კიკინებს, არა სჭირს სულთა ზიანი
მოდლი და ჩემთან იხარე, ნულარ ხარ თვალ ცრემლიანი.

ბოდბლის ონოფრესი:

როს მოკვდა თქვენი ბიჟინა, შეექმნა ეტლი წყეული,
არ ჰყავდა შენებრ მომლელი, ოა სთქვეს დაარქვეს ეული,
შენ იცი ჩვენი სახლიდან ვინ არის გამოსეული,
კრჩხალი ცეცხლებრ მღელვარე, ლოთი იმედის ეული.
ვით შეველი ესეც კისკასებს, დარბის ჩვენს არე-მარესა.
თუ მრულად ვინმე შეხედავს, სიტყვასა ვტყვის მწარესა.
შებტების, დარბის კიბეზედ, არ საქმობს მოსახმარესა,
ბატონმა ბრძანა: სადა მყავს რისთვის არ მივცე ქმარესა.

სათაური ალექსანდრე მაკედონელის ისტორიის.

ისტორია ალექსანდრე მეფისა მაკედონისა და ყოვლისა აღმოსავ-
ლეთისა და დასავლეთისა, ჩრდილოეთისა და ყოვლისა სამხრეთი-
სა და თვითმპყრობელისა მეფეთ-მეფისა: იტყვიან ძეთ ყოფად მისა
მაკედონის მეფისა ფილიპესად ა-დ არა არს ესრედ. და ცრუ არს
ესე ყოველივე. არს იგი ძე ეგვიპტის მეფისა ნეფთალიმისა, ფილი-
პეს ცოლისა და დედოფლისა ალამბიადეს მიერ შემთხვევითა მით
ესე ვითარითა ვითარმედ.

შემდგომ იწყობა მოთხრობა სათაურისვე მსგავსის ენითა. ბარე
სამოცი ფურცელი დიდი ფორმატისა.

გულნიჰალ

(იხ ღამატება № 41)

გამოსვლა მხსამე.

ისმეთ-ხანუმი. გულ-ნიჰალი და მუ-
ხთარ-ბეგი.

მუხთარ-ბეგი. ჩემო ისმეთ! რა მწუ-
ხარების ზეწარი გადაგკვრია და ბაგი
კი ნება-უნებურად გელიმება.

ისმეთ ხანუმი. არა, ბატონო! რო-
გორ არ მაწუხებდეს! გადიამ შენთვის
გამზად ბული რამოდენიმე განსაცდ-
ლი გამიზვალა. წინა და სული შემე-
ხუთა.

მუხთარ ბეგი. ჩემთვის განსაცდელი?
ღმერთო ჩემო! შენ გადიას სიტყვებს
ყურადღებას აქცევ? პირველად ჩემს
ღმერთსა და შემდეგ კი ჩემს ხალზე.
ვარ მინდობილი! არვის ძალუძს შემა-
ხოს ხელი! მამაჩემის სისხლი ძარღვებ-
ში მიღვას და შენი სიყვარული ლომს
შემამბავს და გამამარჯვებს.

გულ-ნიჰალი. ოხ, ბატონო ჩემო!
სიკვდილი ვერ შემაშინებს. არ იცით
ჩემი ვინაობა. მე ერთი საათის სიცო-
ცხლე ერთ კვირას სიკვდილთან ბრძო-
ლაზედ უფრო ტანჯვად მიმაჩნია! მე
თუ ვშიშობ, მხოლოდ თქვენთვის ვში-
შობ. განა არ იცით, თქვენს გზებზე
სიკვდილის ხაფხვებს აგებენ და სა-
ტანჯველი ხრამები გემზადებთ.

მუხთარ-ბეგი. საკვირველია! მე ვის
რა სიხვე მივაყენე, რომ ჩემს გზებზე
სიკვდილის ხაფხვები დააგონ?

გულ-ნიჰალი. ვის რა სიხვე? ამას
წინეთ მამაშენი ამ მხარეს განაგებდა
და ამის შემდეგაც თქვენც შეგიძ-
ლიანთ განაგოთ. ხალხი სულ თქვენს
დღეგრძელობას გაიძახოდა, ღმერთს
ევედრებოდა. ყაფლან-ფაშა თქვენ სა-
სიკვდილოდ არ დაგზოვავთ. შენს მე-
ტოქე- მოჯიბრესა ისმეთი უყვარს,
ისმეთი უნდა გამოგტაცოს, გესმის თუ

არა? (ისმეთი დამწუხრებულის ხმით
მოგებულს ადგილას დაეშვება).

მუხთარ-ბეგი (ისმეთისკენ გაეშურე-
რება და გულ-ნიჰალს გაწყრომით) რა
სთქვი?

გულ-ნიჰალი. უყვარს, როგორც
მწევარს კურდღლის ნადირობა, უყ-
ვარს, როგორც ყასაბს ცხვარი! ის
ენლა ორს რასმეს ჰფიქრობს: პირვე-
ლად შენის სიცოცხლის მოსპობას და
შეოოდ კი ისმეთის დამორჩილებას.
შემდეგ ამ მხარეს, როგორც ხემაგს,
იყ დაიპყრობს, დაიმონავებს და თქვე-
ნი, მთელის შთაბრძოლობის ქონება-
დიდებას მიითვისებს.

მუხთარ-ბეგი—(მწარედ გაიცინებს),
შეხე, იმ ბოროტ!

გულ-ნიჰალი—ბატონო ჩემო! თავს
იმდენად ხუ ენდობი, სიყვარულითა
ხარ შეპყრობილი. იმას კი ძალმომრე-
ობის, მტოვალობის სევდა აწევს.
წარმატების სიგიჟე სჭირს. ქონების
გაუძაძლოობა აწუხებს. სიხარბის სე-
ხით ალის შეპყრობილი. ისმეთის გუ-
ლი შენ გიპყროა, მას ეს ჰკლავს, ყმ-
ლა ეს გოძობა ერთად, შვიდ თავიან
ვეშაად გადაქცევა: ზოგი ლოდის,
ზოგი ჰკებებს, ზოგი ჰგლეჯს, ზოგი
სცემს, ზოგი გარს ეხვევა. ბატონო ჩე-
მო! შენ თავს გაუფრთხილდი! ისმეთი
შეიბრალე!

ისმეთ-ხანუმი—ქალო! იმ ცოფიანს
რა უხდა ჩემი ძეგისაგან! ძე ჩაიფდებს
ხელში, თუ ჩემს უსულო გვამსა.—და-
გას ვახავდი..


გულ-ნიჰალი.—შენი და შენის ბე-
გისა უსულო გვამები ხელში რომ ჩა-
იგდოს, თავზე ძეტი რაღა უნდა!

მუხთარ-ბეგი—ჩემო ჩემო, შენ ნუ
სწუხარ!

გულ-ნიჰალი—სადაც სული უფრო
ადვილად ამოკხდებათ იქ, სასულეში
ჩავავლესით ბარს კლახტებსა.

მუხთარ ბეგი—(გულ-მოსულად) რას
იზამს!

ამ ღამატებაში კარისპატარაში არეულად არის წასული.
პირველი წევა უნდა იყოს მეორე წევის ალგას.



პოლკოვნიკი თავადი ივანე დავითის ძე
ციციშვილი ორჯელ დიქრილი და დაჯილდოვე-
ბული ხუთი სამხედრო ჯილდოთი.

ფელდმარშალი ჰინდერბურგი, საბერძნეთის მეფე
კონსტანტინე და კაიზერი.

გენიზელხი.

გულ-ნიშალი — (გულ-მოსულად) სა-
აქაოს გამოგასალმებთ.

მუხთარ-ბეგი — შე ქალო! მერე ხალ-
ხი? ხალხს რარიგ ვუყვარვარ, ეხლა
შენ თვით არ სთქვი?

გულ-ნიშალი — (მწარის გაცინებით),
ხალხი?... იგი თქვენ სიკვდილს განა
ხალხს შეატყობინებს? ჩვენ ხალხში
დამსახურებულნი ნადიმზე მიუწვევიათ.
ხალხს ოქრო მოაბრუნებს... შენმა მე-
ტოქემ ამ კართან გასვლისას თავი
შენი რომ მოაკვლევინოს, ხალხმა რა-
ლა უნდა გიშველოს.

ისმეთ-ხანუმი — კმარა ქალო! გათე-
ნებამდის ასე უნდა გვშხამო?... თუ
რომ სხვა გზა და შველა შეგიძლია,
გვითხარი და თუ არა და დაჩუმი!

გულ-ნიშალი — ზოგს მამა მოუკლეს,
ზოგი დაუტანჯვიათ. ყველას ამ უბე-
დურობისაგან თავის დახსნევა უნდა!
ხალხი ბელადს ეძებს.

ისმეთ-ხანუმი — გადია, ხომ არ გა-
გიჟებულხარ? ბატონი უნდა გადავარ-
ჩინოვო და ცეცხლის შუაგულში გინ-
და ჩააგდო?

გულ-ნიშალი — ოხ!.. ნეტავი ყოვ-
ლად შემძლებელი ღმერთი მომასწრე-
ბდეს ბატონი ამ დაჩაგრულ, დატან-
ჯულ ხალხის წინამძღოლად დავნა-
ხავდე, ნეტაჰვა ვნახავდე ამ ათი ათა-
ობითა ხალხის სიცოცხლის, ნამუსის,
ქონებისა და უფლებების დასაცველად
შუაგულ ცეცხლში ჩავარდნილს. სრუ-
ლებით ეჭვი არა მაქვს, დამხმარედ
შეუერთდეს მას მებრძოლი ანგელო-
ზება. მაშინ მეც დავმშვიდდები. მაშინ
მეც ცრემლიან თვალებით შენის დღე-
გრძელობისა და დიდებისათვის დავი-
ლოცები. მაგრამ ღვთის ნებაა. ბატონ-
მა არჩეულ გზაზე უნდა შეიწიროს
თავი. ამ პატარა ჭაქას უყურებ? შიგ
მდგარი წმინდა წყალი, ჩვენ ორი სუ-
ლისათვის, ამ ქვეყნის ტანჯვა წვალე-
ბისაგან თავის დასაღწევად საკმარისია.
განგებამ ჩვენ ერთი დიდა მხეცი
გადაგვკადა, აქ რომ ადამიანმა იც-
ხოვროს, მას ეს არ უნდა. ხალხის უფ-
ლებისთვის ერთმა გმირმა უნდა თავი

გამოიდოს და მამულისთვის თავი დას-
დოს. რაც ის მტარვალი ამ მხარეს
განაგებს, სწორედ ორი წელი შეს-
რულდა. ისეთი დღე არ გათენებულა,
რომ მას ათი და თხუთმეტი წუთისო-
ფელს არ გამოასალმებინოს. დღესას-
წაულის წმინდა დღეებშიაც კი, ერთი
ასე თორმეტისა და მეორე კი თხუთ-
მეტი წლის იქმნებოდა, უმანკო ყმა-
წვილები, მის წინა ცხენის ფეხ ქვეშ
გასრისეს. ხელმწიფემ ამ მტარვალ-
ბისა განა იცის რამე?

მუხთარ-ბეგი — კმარა! ხალხს უბ-
რალოდ დახოცვითა და მათის გვაგე-
ბის გათელვით სამთავრო ტახტზედ
ვერ ავალ. გესმის!

გულნიშალი — (თავად, პირმოფრე-
ბით) მაშ, თუ ეგროი ღმერთმა შექმე-
ობა მოგკეთ. მე ამის შემდეგ აღარა
დამრჩენია რა, გარდა თქვენთვის ლო-
ცვისა და ღვთისადმი ვედრებისა...
(გავა).

გამოსვლა მეოთხე.

მუხთარ-ბეგი და ისმეთ-ხანუმი.

მუხთარ-ბეგი — მოდი ჩემო! მოდი
ჩემო ისმეთ! შენმა გადიას უადგილო
ოცნებამ არ შეგაწუხო. მოდი! ჩვენ,
ჩვენის დროის გატარებას შეველი-
თ. შეხედე! პირბადი მთვარე წყალში
რა მშვენიერად გამოსახულა... გახ-
სოვს, ბავშვობისას, რომ გაიხდოდა და
ცურვას დაიწყებდი? აგერ, ძეწენის ჩა-
მოშვებული შტოები რა კარგი სანა-
ხავია?... შექო ფოთლებ შორისა რა
სა საუკხოვოდ ციალებს. თითქოს სა-
პატარძლო ქალიშვილი წყლის ნაპირას
ზის და გადოშვებულ გიჟის თმასა,
აღმასის საგარცხალით ივარცხნისო.
არაფერს ლაპარაკობ? რა შიშა შე-
უპყრიხარ?

ისმეთ-ხანუმი — ბატონო ჩემო. მო-
ახერხე, ამ ქვეყანას მოვფორდე! იცი,
გულნიშალი კაცი რომ იყოს, რამეს
ჩაიდენდა. უმიზეზოდ არ შფოთავს.
სიტყვებმა მისმა, აღგზნებულის ერთის
დანიუ გული დამისერა. ისმეთი თქვენ
გენაცვალოთ სხვა ერთ ალაგას გადა-
მიყვანე. მე ამგვარი ცხოვრება არ
მსურს. კიდევაც რომ იყო ჩემთან სა-
ფრთხე გველის, მე კი სიცოცხლე
მწყურთან შენთან. ამდენ მუხთარებას,

ამდენ ტანჯვა-წვალებას ვერ გაუ-
ძლებ, გადავირევი ამ ხელების სიმ-
ხურვალეს შეხედე და რა მდკომარეო-
ბაში ვარ, შემობრალე.

მუხთარ-ბეგი — ჩემო ისმეთ! ასე
სევდიანი სხვა დროს არ ჰყოფილხარ.
გამოსვლა მესამე.

გულნიშალი — (აღშფოთებული) აჰა,
რაც გითხარით, ყველა გამართლდა!
აგერ, ყარა-ველიმ სახლს დაგვეცა. ნე-
ტა მკვდრად გმოხილვიყავ და ეს
დღეები არ მენახა.

ისმეთ-ხანუმი — ოხ!.. ბატონო ჩე-
მო, მე გაგები შენი უბედურობის მი-
ზეზი.

მუხთარ-ბეგი — გაჩუმიდით, რასა
შფოთავთ!

ერთი ხმა — (გარედან მოისმის) ასე
მოუბრუნებულად, ასე თავლებულად
ოჯახში შემოსილდება?

მეორე ხმა — (ისევ გარედან) მაგ
პირუტყვს ნუ ალაპარაკებთ!

პირველი ხმა — (წამხდარის ხმით)
მურტლები! ერთ კაცზე ორმოცნი მო-
სდიხართ!

მეორე ხმა — ნუ ალაპარაკებთ! კო-
ბიდან ძირს გადისროლეთ მეთქი. (კი-
ბიდან გადაადგდებენ მუხთარ ბეგი გა-
რედ გასვლას მოინდომებს, მაგრამ
ისმეთ-ხანუმი გადახვევა და არ გაუ-
შვებს).

გულნიშალი — ყარაველას ხმა! იგი
მხეცი, იგი პირუტყვი...

გამოსვლა მეექვსე.

**იგინივე, ყარაველი და რამდენიმე
ალბანელი.**

ყარა-ველი — არ გაინძრა! თავის
ბრძანებით დატუსაღებული ხარ. ია-
რალი ჩავვაბარე.

მუხთარ-ბეგი — თავს იგდებ! ვინ გა-
ბედა ჩემი დაპატიმრება? ვინ ბრძა-
ნებს ხმლას ჩამოხსნას? (ხმალზე იტა-
ცებს).

ყარა ველი — (იარაღს მოიმართავს)
ერთი ნაბიჯი კადევ და სიცოცხლეს
ჩაგიმწყურებს!

ისმეთ-ხანუმი — (მუხთარ-ბეგს გა-
დაეხვევა) ბატონო ჩემო! ღვთის გუ-
ლისათვის გაჩერდა. ჩემი გულისათვის,
გაჩუმიდი. ამ მკვლელებმა, შენ უნდა
გამოგიმეტონ. (ტახტზე დევდება და
გული წაუვა).

მუხთარ-ბეგი — (ისმეთს ეშველება)
ჩემო ისმეთ, ესენი კი არა შენ მომ-
კლავ!

ყარა-ველი — მთელი თემის არე-
დაოვდა და თავის საწინააღმდეგოდ
ამბოხება მოახდინე და ამ დროს ქა-
ლიშვილის უბეში უბეში თავს იფა-
რავ?

მუხთარ-ბეგი — ხმა გაკმინდე! მე
რომ ხალხი ამეჯანყებინა თქვენ ჯო-
ჯოხეთის გამგეთა ხელში იქმნებოდით.
მაგას მიხედავ? (იერიშს მიიტანს. ამ
დროს გულნიშალი გადაეხვევა).

ყარა-ველი — სიცოცხლეს მოგის-
პობ. (მის განკარგულებაში მყოფ ალ-
ბანებს) ამ ვაჟბატონს სიკვდილი აქვს
მისჯილი.

მუხთარ-ბეგი — (გულნიშალს) ჩამო-
მეცალე თორემ გაგაპობ!

გულნიშალი — ამჩხე, მოგკლავენ!
შენს მიხედავ არ შეიბრალებ?

მუხთარ-ბეგი — (დიდის ტანჯვის
შემდეგ ხმალს ფეხით დაამტვრევს,
დამიანას ფანჯარიდან გადაადგდებს).
გულნიშალ! პირველად უფალსა და
შემდეგ კი შენ გაბარებ ჩემს ისმეთს.
(მის წინ წაძლიოლის მომდომს ერთ
ალბანს) უკან გამოიყე! შე უზრდელი.
(თითებულად გავლეს. ყარაველი უკან
დარჩევა და სასანთლებზედ ერთ ბა-
ოათს დასტოვებს და შეძლებ გავა).

გამოსვლა მეშვიდე.

გულნიშალი და ისმეთ-ხანუმი.

გულნიშალი — (ბარათს აიღებს,
მწარედ გაიკინებს და წარწერილის
კითხვას დაიწყებს) „ბატონს ისმეთ-
ხანუმს მიერთვას“. (წიგნს გახსნის და
კითხულობს) „ჩემო ორთავ თვალის
სინათლევ, სულა და გულო, ჩემო მე-
უფეო“ აგრეკ გიკუესი! „რაც ჩავი-
დინე, მიზეზი თქვენ ხართო“ — ყოვ-
ლად საძაგელო!

ისმეთ ხანუმი — (შიშით და კრძალ-
ვით წამოდგება) სად არის ბატონი?
ხომ არ მოუკლავს.


გულნიშალი — არ მოუკლავთ. (წე-
რილა გადასცემს. ისმეთი კითხულობს)

ისმეთ-ხანუმი — ღმერთო ჩემო! რა
სიბოროტე და სიმდაბლეა. ჩემო გა-
დია! ბატონი ჩემის გამოისობით იღუ-
პება.

გულნიშალი — არა! ღმერთი გად-
მოგვხედავ შენის შეწევობით უნდა
გადაჩქს.

(ფაქდა)

მაჰმედ-ბეგ აბაშიძე.



შექმნა ფეტკა-თედო-თევდორე ღლონტისა

გაზეთ „ზვირთის“ საიუბილეო ნომერში, როიელიც მიმდინარე წლის 10 ოქტომბერს გამოვიდა, სხვათა შორის ჩვენი გაზეთის შესახებ შემდეგი ეწერა: „პოლიტიკურ ჯგუფებთანაც გარკვეული იყო ჩვენი პოზიცია. გვძაგდა და გვძაგს გაზეთ „საქართველოს“ პოლიტიკა. პოზიცია, რომელსაც იცავს გაზეთს „საქართველო“ ყალბი იყო თავიდანვე და ყალბი იქნებოდა მთელი მისი მუშაობა, ორჭოფობა, სიმხდალე, მუხანათობა, გაიძვერობა, სინიღისისა და სამწერლო ზნეობის ლალატა—აი ყოველივე ის, რაც ახასიათებდა გაზეთ „საქართველოს“

და რის მარტივად დამტკიცებას შევძლებდით ყოველ წუთს. „საქართველოელები“? ამ ნამდვილი საქართველოს ფალსიფიკატორებმა და ჭოჭყში ამოსვრილმა ხალხმა თავიანთი წიხლიც გვითავაზეს“.

უფრო ლმობიერი იყო „ზვირთი“ „თანამედროვე აზრისა“ თანამშრომლებისადმი: „ჩვენს ბრძოლას მათთან მეტი დეენტლმენობა ახასიათებს, მეტი პრინციპიალობა და სიღინჯე“. ამ ციტატების სავსებით შე'აგნებათ საჭიროა გავიხსენოთ თუ როგორ გააჩინა ოლიმპიელმა ძევსმა უებრო ჯენტლმენი ბ. თედორე ღლონტი.



„შემდეგ ტორსო. უკან სქელ ტყავს მივაშაგრებ, რომ ზოგიერთ პანტურებს გაუძლოს“.



„მუცელი დიდი უნდა გავუჭოთო, კუჭი კი სირაქლეშის მივსცე, რათა ყველაფრის მონელება შეეძლოს“.



„ლეღვის ფოთოლი სადგურ ლანჩხუთიდან გამომიგზავნეს“.



„ქვეყნის გაჩენა ჰევრი ოფლი დამიჯდა. ახლა კი უნდა დავისვენო: მოდი თედორე ღლონტს გავაკეთებ!“



„აჰა, შესაფერი ტალახიც“.



„დავიწყებ ფეხებიდან. ერთი მიაბიჯებს წინ, მეორე მიაბიჯებს უკან“.



„კინალამ კუდი არ დამავიწყდა! ეს ხომ ყმაწვილს საჭიციანოთ დასჭირდება. ბარემ გულსაც ზედ დავკიდებ, რომ ამ თავითვე შარვალ ქვეშ ჰქონდეს“.

ოლიმპიელმა ღმერთმა მკითხველის გონება-მახვილობაზე მიაგდო იმის გამოცნობა, თუ რის თავი აბია ბ. თედორე ღლონტს?